ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-0120030953**
თარიღი: **30/01/2020**
პინი: **3778**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურის უფროსს
თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2020 წლის 16 იანვრის N 17-01200161731-16 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, სუხიშვილის ქ. N 7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.39.029.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ფარგლებში (AR1715165) პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. მიუხედვად იმისა, რომ კვლევა შეიცავს ხარვეზებს და უზუსტობებს, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მოსაწესრიგებელია **საფეხმავლო ინფრასტრუქტურა**. საპროექტო ტერიტორიის **საზოგადოებრივი ტრანსპორტით** მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია. დაგეგმილი პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული არქიტექტურული პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-01200623905**
თარიღი: **02/03/2020**
პინი: **6615**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური"), განიხილა თქვენი 2020 წლის 27 თებერვლის #60-01200581454 წერილი (AR1715165) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც მოქალაქე გიორგი მუხიაშვილის მომართვის საფუძველზე ითხოვთ **ქ. თბილისში, სუხიშვილის ქუჩა #7-ში (ს.კ. #01.19.39.029.046) (ფუნქციური ზონა: სზ-6)**, შპს ,,ბრაუნის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში, IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას გამწვანების პროექტთან და მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით და გაცნობებთ, რომ:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის" (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება") მე-2 თავის, 21-ე და 21^2-ე მუხლების შესაბამისად, ვინაიდან, სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული 2 ძირი მწვანე ნარგავი ჯანსაღი ეგზემპლარია, ექვემდებარება გადარგვას, რაც დასტურდება ექსპერტის მიერ, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მწვანე ნარგავების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, **სამსახური გასცემს ქ. თბილისში, სუხიშვილის ქუჩა #7-ში (ს.კ. #01.19.39.029.046) (ფუნქციური ზონა: სზ-6)**, შპს ,,ბრაუნის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში, **2 ძირი ჩვ. იფანის (#1-21,3სმ; #5-16,4სმ) გადარგვაზე ნებართვას, მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.**

რაც შეეხება უშუალოდ წარმოდგენილ გამწვანების პროექტს მოგახსენებთ, რომ ტერიტორიაზე არსებული (15 ძირი) და ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული 21 ერთეული (5 ძირი რობინია, 4 ძირი ნეკერჩხალი ჭადარფოთოლა, 3 ძირი ცხენისწაბლი, 2 ძირი მელია აზედარახი, 4 ძირი ფიჭვი იტალიური, 1 ძირი ჰიმალაის კედარი, 2 ძირი ცაცხვი ჩვეულებრივი) მცენარე სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (854 კვ.მ). გასამწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

ასევე, მოგახსენებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის 5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი